



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20  
2016 წლის 24 მაისი  
ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლისა და „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 93<sup>ა</sup> მუხლის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

**მუხლი 1.**

დამტკიცდეს:

- ა) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკი (დანართი №1);
- ბ) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენი პეტიციის ფორმა (განცხადება პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე) (დანართი №2);
- გ) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობა (დანართი №3).

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ჯუმბერი ლაშქარავა



პეტიციის (ტიპური) ფორმა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს-----

პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი  
სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების  
სახელი, გვარი, -----  
მისამართი,-----  
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი  
(არსებობის შემთხვევაში) -----

განცხადება პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე

-----  
-----  
-----  
-----  
-----

(შესაბამისი ტექსტი, მოთხოვნა, დასაბუთება)

დანართი:

- ა) საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია;
- ბ) ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;
- გ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა), საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი  
სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების  
ხელმოწერა/ხელმოწერები:-----

პეტიციის წარდგენის თარიღი:-----

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ----- რეგისტრირებულ იქნა  
(რეგისტრაციის თარიღი)

№ ----- პეტიციის წარდგენის შესახებ განცხადება.  
(რეგისტრაციის №) (პეტიციის სახით წარსადგენი საკითხის დასახელება)

სენაკის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი:-----

(სახელი, გვარი ხელმოწერა, თარიღი, ბეჭედი)